ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 325

23 ივლისი
"---" -------- 2021 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ხოშარაულის ქ. №29 (ს/კ. №01.13.05.004.139), კოსმონავტების ქ. №49 (ს/კ. №01.13.05.004.142), კოსმონავტების ქ. №47 (ს/კ. №01.13.05.004.059) კოსმონავტების სანაპირო №45 (ს/კ. №01.13.05.004.173), კოსმონავტების სანაპირო №51გ (ს/კ. №01.13.05.004.058) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს ,,გეითვეი ჰოლდინგის" (ს/ნ. 204531499), შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ 204460957), შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 202446246) და შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტის" (ს/ნ. 405243482) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და ,,ქ. თბილისში, ხოშარაულის ქ. №29 (ს/კ. №01.13.05.004.139), კოსმონავტების ქ. №49 (ს/კ. №01.13.05.004.142), კოსმონავტების ქ. №47 (ს/კ. №01.13.05.004.059) კოსმონავტების სანაპირო №45 (ს/კ. №01.13.05.004.173), კოსმონავტების სანაპირო №51გ (ს/კ. №01.13.05.004.058) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს ,,გეითვეი ჰოლდინგის" (ს/ნ. 204531499), შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 204460957), შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 202446246) და შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტის" (ს/ნ. 405243482) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 21 ივლისის №21.1003.1138 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს ,,გეითვეი ჰოლდინგის" (ს/ნ. 204531499), შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 204460957), შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 202446246) და შპს ,,იქსმშენ დეველოპმენტის" (ს/ნ. 405243482) მიმართ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება №20.1226.1527, 19.10.2020) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება №310, 20.10.2020) მხარდამჭერი

ღონისძიებების ფარგლებში, მისამართებზე - ქ. თბილისი, ხოშარაულის ქ. №29 (ს/კ. №01.13.05.004.139), კოსმონავტების ქ. №49 (ს/კ. №01.13.05.004.142), კოსმონავტების ქ. №47 (ს/კ. №01.13.05.004.059) კოსმონავტების სანაპირო №45 (ს/კ. №01.13.05.004.173), კოსმონავტების სანაპირო №51გ (ს/კ. №01.13.05.004.058) შემდეგი დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) შეთანხმდეს კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლის მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) -განისაზღვრება ჯამურად 8.5-ით შემდეგ საკადასტრო კოდებზე: №01.13.05.004.059, №01.13.05.004.139, №01.13.05.004.058 (ს/კ. №01.13.05.004.059 - არსებული სამშენებლო ობიექტის ბლოკი 5ა-ს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის 9253 კვ.მ. გარეშე);

ბ) მიწის ნაკვეთზე - ს/კ. №01.13.05.004.059 - მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) ნაცვლად 8.5-სა განისაზღვროს - (კ-2) 4.4 -ით, არაუმეტეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანაგარიშო ჯამური ფართის - 28 100 კვ. მ - ისა (ს/კ. №01.13.05.004.059 - არსებული სამშენებლო ობიექტის ,,ბლოკი 5ა" მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის 9253 კვ.მ. გარეშე);

გ) მიწის ნაკვეთზე - ს/კ. №01.13.05.004.139 - მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) ნაცვლად 8.5-სა განისაზღვროს - (კ-2) 9.95-ით, არაუმეტეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანაგარიშო ჯამური ფართის - 175 560 კვ.მ - ისა.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64)კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**